ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 462

"9" ოქტომბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-17 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" და „კ" ქვეპუნქტების, ასევე „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის №1604 განკარგულებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოწონების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 7 ოქტომბრის №25.1677.1897 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ,,საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ" ხელშეკრულება, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 6 ოქტომბრით დათარიღებული, ამავე პუნქტით დამტკიცებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის ფარგლებში წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე